ოქმი #9

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2025 წლის 24 დეკემბრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), თ. ბუჩუკური, ი. კიღურაძე, გ. ლავრელაშვილი, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, გ. ციციშვილი, ო. ჭკადუა, მ. ჯიბლაძე, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 28 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 15 წევრი).

დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისთვის საკონკურსო კომისიის შექმნა.

მოისმინეს: ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2025 წლის 22 დეკემბერს გამოცხადდა კონკურსი თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლების სამსახურში მისაღებად (*თსუ რექტორის 2025 წლის 18 დეკემბრის # 318/01-01 ბრძანება*). კერძოდ, კონკურსი გამოცხადდა შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

მათემატიკური ლოგიკის განყოფილება:
მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
მათემატიკური ანალიზის განყოფილება:
მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილება:
მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
თეორიული ფიზიკის განყოფილება:
მეცნიერი თანამშრომელი - 0.5 საშტატო ერთეული.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თსუ რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია.

საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატებად დასახელდნენ: ალექსანდრე მესხი, ნუგზარ შავლაყაძე, გიორგი ციციშვილი, მამუკა ჯიბლაძე, ოთარ ჯოხაძე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე. ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

1) წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ-ის რექტორს დასამტკიცებლად თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **ალექსანდრე მესხი** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
2. **ნუგზარ შავლაყაძე** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
3. **გიორგი ციციშვილი** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
4. **მამუკა ჯიბლაძე** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
5. **ოთარ ჯოხაძე** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დიფერენციალური განტოლებების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციაა ზემოთ აღნიშნული საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე იყოს ო. ჯოხაძე, თავმჯდომარის მოადგილე - გ. ციციშვილი, ხოლო კომისიის მდივანი - ნ. შავლაყაძე.

საბჭოს თავმჯდომარე თ. ქადეიშვილი

სწავლულმდივანი ო. ჯოხაძე

ANDREA RAZMADZE MATHEMATICAL INSTITUTE